

ქეთევან ქააძე (Kansas State University, CERN)

მოკლე ინფორმაცია მომხსენებლის შესახებ:

ქეთევან ქააძემ 1999 წელს დაამთავრა რუსთავის №5 საშუალო სკოლა, 2003 წელს-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატი( წარჩინებით), 2005 წელს- მაგისტრატურა.

2005-2010 წლებში სწავლობდა კანზასის უნივერსიტეტის (Kansas State University) დოქტორანტურაში (PhD). 2006-2008 წლებში მუშაობდა CMS ექსპერიმენტში. მისი სადოქტორო დისერტაციის თემა იყო „Study of WZ production with the DO detector”, დამუშავებული Tevatron-ის ექსპერიმენტზე Fermilab-ში (IL, USA). 2010-2013 წლებში მიიღო CERN-ის (Geneva, Switzerland) სტიპენდია (CERN fellowship) და განაახლა მუშაობა CMS ექსპერიმენტზე. 2013-2014 წლებში იყო Fermilab-ის პოსტ-დოქტორული მკვლევარი (Postdoc) და კვლავ მუშაობდა CMS ექსპერიმენტზე. მისი ბოლო კვლევები ეხება Higgs →  $\tau\tau$  პროცესის (Higgs -ის ბოზონის დაშლა ორ  $\tau$ - ლეპტონად) გაზომვას და ახალი პროცესის ძიებას  $\tau$  - ლეპტონის მონაწილეობით. ასევე აქტიურად მონაწილეობს CMS დეტექტორის განახლების (upgrade) პროცესში.